



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

20 ივლისი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №128

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის სახით, პირდაპირი განკარგვის წესით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, ქ. ოზურგეთის ვ.დოლიძის ქ. №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართული ფართობით 261.29კვმ. და მასზედ წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი №46, ნაკვეთი №007, კოდი 01/503, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882012326253, მომზადების თარიღი 10/07/2012წ.)

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციაზე უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსს ლაშა თავაძეს (პირ.№33001005191).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი ი.სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი